

ს ი ა ხ ლ ე

მასწავლებელთა სერტიფიცირების ახალ სისტემაზე გადასვლა გარკვეულ ცვლილებებს მოითხოვს. კერძოდ, გადაწყდა, რომ საგნობრივი საგამოცდო ტესტებით აღარ შემოწმდება საგნის სწავლების მეთოდიკა; ეს კი, თავის მხრივ, საგამოცდო ტესტის გარკვეულ სახეცვლილებასაც იწვევს. ამიტომაც პედაგოგების გამოცდებისათვის განკუთვნილი ტესტი **ქართულ ენასა და ლიტერატურაში 2016 წლის ივლისის გამოცდაზე განსხვავებული ფორმატის** იქნება:

ტესტის ჯამური ქულა **80**-ის ნაცვლად იქნება **70**: ტესტის პირველ ნაწილს (ქართული ენა) მოაკლდა 3 ქულა და, ამდენად, ამ ნაწილის მაქსიმალური ქულა **35** იქნება. ტესტის მეორე ნაწილი (ქართული ლიტერატურა), რომელიც მხოლოდ არჩევითი კითხვებისგან შედგება (ანუ ყველა კითხვას თან ახლავს 4 სავარაუდო პასუხი), 20-ქულიანი იქნება (წინა წლებში ის 12-ქულიანი იყო). ამას მოსდევს ტესტის მესამე ნაწილი (წაკითხულის გააზრება), რომელიც მოიცავს არასაპროგრამო მხატვრულ ტექსტსა და 11 დავალებას. აქედან 10 ერთქულიანი არჩევითი კითხვაა, მე-11 დავალება კი 5-ქულიანი ღია კითხვა, რომელიც მოითხოვს მსჯელობას ამ მხატვრული ტექსტის მთავარი სათქმელისა და მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებების შესახებ.

გთავაზობთ ახალი ფორმატის საგამოცდო ტესტის ნიმუშსა და უკანასკნელი (41-ე) დავალების შეფასების კრიტერიუმებს.